# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 287. ხუთშაბათი, 3 თებერვალი 1905 წ. გაზეთის № 2723.


# ალსდგა მკვდრეთით!

ანუ

## მ ა რ უ ჩ ა

ისტორიული დრამა 3 მოქმედებად.

დასასრული*)

### მესამე მოქმედება.

სცენა წარმოადგენს შაჰის დიდ დარბაზს. მარჯვენა სცენა ამაღლებულია. ამაღლებულ ალაგზე სდგას შაჰის სავარძელი. ორი კარები სიღრმეშია, ორიც მარჯვნივ.

### სცენა პირველი

შაჰი, ვეზირები და კარის კაცნი.

**შაჰი.** რა მინდაო?..

1 **ვეზირი.** არას გვეუბნება; შაჰისთან მაქვს საქმე და რაც სათქმელი მაქვს, მას მოვახსენებ.

**შაჰი.** (გაბრაზებული) არც ის იცით, ვინ არის, არც თუ საიდან მოდის?

1 **ვეზირი.** მუნჯსავით გაჩუმებულია დ სახეზედაც მთლად შავი ლეჩაქი შემოხვეული აქვს.

**შაჰი.** გაიგეთ! (ვეზირს, რომელიც მიდის) რას ეჩქარები! ეგრედ სისწრაფით ნეტავ სხვა რამ შემისრულოთ! დედოფალს თვალები დასთხარეთ? (ვეზირები ყოყმანობენ). აბა გაჰბედეთ და სთქვით, არაო!

2 **ვეზირი.** დიდებულო შაჰო, მაგის აღსრულება ჩვენს ხელთ არ იყო.

**შაჰი.** რას ბოდავთ?!

1 **ვეზირი.** ისმაილ ბეგმა...

**შაჰი.** (გაბრაზებული) ისმაილ ბეგმა! სულ ისმაილ ბეგმა! ყველაფერი ისმაილ ბეგს უნდა გადააბრალოთ! მოძღვარს თავი მოჰკვეთეს?

2 **ვეზირი.** წუხელისვე.

**შაჰი.** წუხელისვე! აჩქარებულხართ; იმის სიცოცხლე კიდევ საჭირო იყო.

1 **ვეზირი.** ისმაილ ბეგმა ასე ინება.

**შაჰი.** კიდევ ისმაილ ბეგ! რა გაგიხდათ ეს ისმაილ ბეგ! ორმოს უთხრით, მაგრამ გაფრთხილდით, თვითონ შიგ არ ჩასცვივდეთ. დილაზე ჯალათი მზად იყოს; დედოფალს ამალამვე გამოუცხადეთ, რაც მოელის. შემატყობინეთ, წამებაზე თვითონ მინდა დავესწრო. (გარედან ხმაურობა ისმის) ვინ არის? ვინ ბედავს ჩემთან ასე ხმა მაღლა ლაპარაკს?!

1 **ვეზირი.** (გავარდება და ისევ მალე დაბრუნდება) ის ქალია... ძალაღ მოინდომა თურმე აქ შემოსვლა...

**შაჰი.** მერე?

1 **ვეზირი.** ვუბრძანე გაეგდოთ.

**შაჰი.** შემოიყვანეთ!

1 **ვეზირი.** (გავარდება) ეხლავე, შენი ჭირიმე!

**შაჰი.** დედოფალი გადმოიყვანეთ აქა?

2 **ვეზირი.** დიაღ, დიდებულო შაჰო, წუხელისვე გადმოვიყვანეთ ქვეით სარდაფში.

**შაჰი.** რა სთქვა?

2 **ვეზირი.** ვიცი, საწამებლად მიგყევართო, მაგრამ ღმერთია ჩემი ქომაგიო, მე არ მეშინიაო; შევიყვანეთ თუ არა მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო.

**შაჰი.** ვნახოთ—როგორ არ დამემორჩილება! ყარაულები ხომ აღგანან?

2 **ვეზირი.** ოთხი კარებზე უყენია; ორიც სარკმელთან.

### სცენა მეორე

იგინივე; შემოდის 1 ვეზირი და მას უკან შემოჰყვება შავებში მოსილი და სახეც მთლად შავ ლეჩაქში გახვეული ქალი.



ადმირალი ტოგო თავის სამუშაო კაბინეტში გემზე.

**შაჰი.** (დაინახავს თუ არა, მრისხანეთ დააცქერდება; ნელ ნელ მიუახლოვდება და უცბად ჩამოჰკრავს ლეჩაქს, რომ სახე დაუნახოს).

**ქალი.** შორს! შენ არ იცი ვინა ვარ და ნება არა გაქვს ხელი შემახო.

**შაჰი** (დაცინვით). ხი! ხი! ხი! ვინ ბრძანდები?

**ქალი.** ეს შენთვის სულ ერთი უნდა იყოს; საქმეზე მოველ; შენ შეგეხება და უნდა მომისმინო.

**შაჰი.** აბა, ბრძანეთ.

**ქალი.** რაც სათქმელი მაქვს საიდუმლოდ უნდა მოგახსენო.

**შაჰი** (დაცინვით ვეზირებზე აჩვენებს). ისე საიდუმლოა, რომ ამათ არ შეიძლება იცოდნენ! ხა! ხა! ხა! ვითომ არ იცით რა საიდუმლოც არის და მარტოდ დაგვტოვეთ (ვეზირები თავს უკრავენ და გადიან; შაჰი დაცინვით თვალს გააყოლებს) ხა! ხა! ხა! ისმაილ ბეგი ძილს გიბრთხობთ! (ქალს) ვაი თუ სანანურად გაგიხდეს ეგ შენი ხუმრობა და ჯალათის დანამ მოგხსნას თავზედ მოხვეული ეგ შავი ლეჩაქი!.

**ქალი.** რად მაშინებ?..

**შაჰი.** სთქვი მალე არა მცალია!

**ქალი.** ეხლა, რომ მელაპარაკები, ქეთევან დედოფალი შეიძლება, საპყრობილედან გამოდიოდეს.

**შაჰი.** ვიცოდი რომ მაგას მეტყოდი; განაგრძე! ისმაილ ბეგმა გააპარა? ხა! ხა! ხა! გიკვირს რომ დაგასწარი?! აბა ეხლა მითხარ, ვინ დაგარიგა? გინდა ეგეც გითხრა? ხა! ხა! ხა! (უცბად კილოს შეიცვლის და მრისხანეთ) შენ არ იცი რა მოგელის!! ეხლავ ვუბრძანებ დედოფალი აქ მოიყვანონ და მაგ ჭორისათვის, დედოფლის წინ თავს მოგჭრი! ჰეი! ეხლავ დედოფალი აქ მოიყვანეთ!..

*) იხ. „დამატება“, № 285.

**ქალი** (შეშინებული) დიდებულო შაჰო! შენ მაგას არ იზამ!.. სასიკვდილოდ მე აქ არ მოვიდოდი... არ ვიცი... იქნება ვცდებოდე...

**შაჰი.** ხა! ხა! ხა! იქნება სცდებოდე! მაშ სთქვი ვინ გამოგგზავნა, ვინ დაგარიგა და სიკვდილიდან გაგანთავისუფლებ.



იაპონელები ფარების საშუალებით ანადგურებენ მავთულის ღობეებს.

**ქალი.** ღმერთო!.. რომ ასე მცოდნოდა, ხომ არც მოვიდოდი! გამიშვი!..

**შაჰი.** სად? უსიკვდილოდ აქედან ვერ გახვალ!

**ქალი.** შემიბრალე, დიდებულო შაჰო! გამიშვი!..

**შაჰი.** აჰა! მაშ სტყუი!?..

**ქალი** (მუხლებზე დაეცემა). მაპატიე!..

**შაჰი.** მაშ სთქვი—ვინ დაგარიგა!

**ქალი.** სიყვარულმა გონება დამიბნელა; სიძულვილემ გამაბედვინა!..

**შაჰი.** რას ბოდავ?!

**ქალი.** მე მეგონა დამიჯერებდი და დედოფალთან რომ იმ ქალს ნახავდი...

**შაჰი.** ვინ ქალს! რას ბოდავ! დედოფლის ნახვა დღეს არვის შეეძლო. ჩემს დაუკითხავად ამ უფლებას ვერვინ მისცემდა. შენ სტყუი და ძვირად დაგისვამ! ჰეი! ჯალათო!

**ქალი.** არა, დიდებულო შაჰო! ამას კი მართალს ვამბობ. ის ქალი წამოვიდა დედოფლის სანახავად და მეც აქეთკენ გამოვეშურე, რომ მომესწრო...

**შაჰი.** კიდევ სტყუი! სტყუი!.. ჯალათო!

**ქალი** (ჯალათს დაინახავს და დაიწივლებს). ჯალათო! შენ ამას ვერ გაჰბედავ! შენ არ იცი ვინა ვარ! (ღეჩაქს იხსნის) მაშ იცოდე დიდი რომის სახელოვანი ელჩი პიეტრო დელა ვალლე—ჩემი ქმარია!

**შაჰი.** ხა! ხა! ხა! მარტო ქალის ჭკუა თუ გამოიგონებდა ამ უცნაურ ხრიკსა. მერე რითი ამტკიცებ? პიეტრო დელა ვალლეს ცოლი დასაბეზღებლად აქ არ მოვიდოდა!

**მანი.** არა გჯერა! მაშ გაგზავნე მასთან და დარწმუნდი.

**შაჰი** სიცოცხლე გაგიგრძელო!? კარგი; რომ დავრწმუნდე—ჯალათს ვეტყვი შენი თავი პიეტრო დე-ლა-ვალიეს წაუღოს. ჯალათო!

**მანი.** მტარვალო! მხეცო!..

(გარედან მოისმის ქალის ყვირილი: „გამიშვით თქვე ურჯულონო! არსად გაგექცევით! ეგრე ძალიან ხელებს ნუ მიგრეხავთ!" შაჰი გაოცებული ყურს უგდებს).

**მანი.** იმის ხმაა! ის არის! ის! (შაჰს) ხედავ რა მართალი ვიყავ! ის არის.

**შაჰი** (შეშინებული), ვინ?

**მანი.** ის ქალი! დედოფალი გაუპარებიათ და დედოფლის მაგივრად ის მოჰყავთ! ხედავ არ ვსტყუოდი! მალე ჯალათს დაუძახეთ! ჯალათი მალე, თორემ მალე მფარველი აღმოუჩნდება!

**შაჰი** (აღშფოთებული) სტყუი! შეუძლებელია!

### სცენა მეხამე

შაჰი და მანი; შემოდიან ვეზირები მათ უკან შემოჰყავთ ხელებ გაბაწრული მარუჩჩა. თმებ გაწეწილი და შავ კაბაში.

**შაჰი** (დრიალით მივარდება მარუჩჩას და ყელში უჭერს ხელებს), ჰა! დიაცო! ძაღლო! გველის წიწილავ! ჩემის ხელით უნდა დაგახრჩო!

**მარუჩჩა.** მხეცო! მტარვალო! მაგ საზიზღარ ხელებს ნუ მაკარებ!

**შაჰი** (გაშმაგებული ვეზირებს მივარდება) ეს ვინ მომიყვანეთ! მე გიბრძანეთ დედოფალი მომიყვანეთ მეთქი! სად არის დედოფალი? სად!? მომგვარეთ! ეხლავ მომგვარეთ, თორემ ვერც ერთი სიკვდილს ვერ წაუხვალთ! სად არის დედოფალი?!..

**მარუჩჩა.** მე გეტყვი, ძე: მე ვარ მახარობელი! დედოფალმა გასწყვიტა მონობის ჯაჭვი, რომლითაც საქართველო შენ შეგებოჭა და ეხლა ვაი შენს დღეს!

**შაჰი.** ხმა ჩაიწყვიტე!

**მარუჩჩა.** არა; მე არა! შენ თვით დაიხრჩე ბრაზით და შხამით, რომლითაც ქვეყანა ჩემი მოშხამე! რას ფიქრობ?! ღვთის სასწაულს ურჯულო ვერ მიუხვდება! გიკვირს რომ სუსტმა დედაკაცმა გასწყვიტა ჯაჭვი ლომისა!? კიდევ არ გჯერა რომ ჯვართცმული არ დასტოვებდა მის ერთგულ ხალხსა!

**შაჰი.** გაჩუმდი!

**მარუჩჩა.** თვით გაჩუმდი და ყური დაუგდე იქ შორს ქრისტიან ხალხის მეჯლიშსა! დედოფალი განთავისუფლდაო! ელვასავით ეს ხმა მთელს მხარეს მოსდებია! დიდი, პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ქვრივი-ობერი, ობოლი სიხარულით მას ეგებება! აღსდგა დღეს ქართველი! აღსდგა სამშობლო! აღსდგა კვლავ საქართველო მრავალ ტანჯული!

**შაჰი.** (დრიალებს) ჯალათი! ჯალათი!

**მარუჩჩა.** დიდი ჯალათი ხომ თვით შენა ხარ! არ მეშინია შენი! ხედავ გულზე ჯვარი მკიდია. მე ქართველი ვარ! რას მიყურებ? გიკვირს რომ ხელ-შებოჭილი სუსტი ქალი, დიდი შაჰიზე უფრო დიდია! შენსავით მხდალი და ლაჩარი იქნებ გგონივარ!? ქართველ ქალს სიკვდილისა არ ეშინიან!

**შაჰი.** ვინა ხარ შენ უბედურო, ისე გაწამო, რომ შენის ცოდვით ქვეყანა დავწვა! ვინ არის ეს დიაცი, ლამის ბრაზით დამახრჩოს! ვინა ხარ, ვინ გშობა, გველის წიწილავ! ვინ არის შენი მახლობელი, რომ შენთან ერთად მთლად ამოვწყვიტო! (მივარდება მანის და ღეჩაქს გლეჯს) შენ იცნობ ამას!—მითხარ ვინ არის კიდევ ამასთან!

**მარუჩჩა** (დაინახავს მანის, რომელიც დაიწივლებს და სახეს იმალავს). მანი! შენ გხედავ!? ღმერთო რა ბედნიერი ვარ! მანი, ამ მტარვალთან რამ მოგიყვანა! განა არ იცოდი, რომ ჩემს სიცოცხლეს არ გაჩუქებდა?! მანი! გებრალები და თვალებს მარიდებ! ხადავ, მანი, რომ შებოჭილი ვარ და შენთან არ მიშვებენ! შენ მოდი ჩემთან, ჩემო მანი! უკანასკნელად ჩამიკარ გულში და მაპატიე!

**შაჰი.** ვინ უნდა გაპატიოს?!

**მარუჩჩა.** შენ არა! შენთან სათხოვარი მე არა მაქვს-რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შაჰი.** მაშ, ამასა სთხოვ გაპატიოს, ვინც შენ დაგაბეზღა!

**მარუჩჩა.** მე დამაბეზღა!!.. არა!.. გინდა უკანასკნელი წუთი მომიწამლო! ვერა მტარვალო! შენ სტყუი! მანი! მოდი, ჩამიკარ გულში! გეშინია? მარტო შემომხედე, დაგინახო, რომ ისევ ის მანი ხარ!

**შაჰი** (კვლავ მივარდება მარუჩჩას). მითხარ მეთქი—ვინა ხარ! მარტო შენ ამას ვერ გაჰბედავდი! დიდიხანია ვგრძნობდი შეთქმულობა იყო! ამ შეთქმულობას ვიღაც შინაური თავში უდგია! ძაღლის ძვალს გაგატეხინებ და გათქმევინებ—ვინც არის თქვენი მოთავე! მითხარ ვინ შეგიშვა! დედოფლის სანახავად ბარათი ვინ მოგცა?

1 **ვეზირი.** ისმაილ ბეგის ბარათი ჰქონდა.

**შაჰი** (გაცეცხლებული). ისმაილ ბეგ! ისმაილ ბეგ! ეხლავ აქ მომგვარეთ! აქ გააჩინეთ.

**მარუჩჩა.** სტყუიან ესენი! ისმაილ ბეგს ჩემთვის ბარათი არ მოუცია!

2 **ვეზირი.** როგორ არა! აი თვით ის ბარათი.

**შაჰი.** ჰა! მაშ ისმაილ ბეგია თქვენი მოთავე! როგორ ვენდე! როგორ არ ვიცოდი რომ ის ძაღლი იყო და ძაღლის ძვალს არ გასტეხდა! ისმაილ ბეგ! ეხლავ აქ მომგვარეთ! ჯალათი! კიდევ ერთი ჯალათი! ორთავეს ერთად აქ ჩემს თვალ წინ თავები წააყრევინეთ !

**მარუჩჩა.** სტყუიან მეთქი! ისმაილ ბეგს ბრალი არა აქვს!

**შაჰი.** შენ იცავ მას?! ეს საკმარისია! გეუბნებით ეხლავ მომგვარეთ ისმაილ ბეგ!

2 **ვეზირი.** რომ ვუთხარით დედოფლის გაქცევა—დაგვაბარა ან თავს მოვიკლავ ან დედოფალს შევიპყრობო და მდევრები დაადევნა.

**შაჰი.** რას ამბობთ?! ბრიყვებო! დედოფალს თან გაჰყოლია და თქვენ დაიჯერეთ?

**მარუჩჩა.** როგორ? დედოფალს თან გაჰყოლიაო! ისმაილ ბეგი დამხმარებია! მაშ თუ ეგრეა თვით განგების ხელი ყოფილა! ალსდეგთ ქართველნო და ადიდეთ სახელი ღვთისა! მტარვალ,ო უხმე ჯალათსა! ჯალათი მალე, ჯალათი! მომკვეთოს თავი, ვიდრე სი' არული არაფერს მოუწამლია!.. (დაინახავს პიეტროს რომელიც დაქანცული პირდაპირ მისკენ ესწრაფვის).

### სცენა მეოთხე

იგინივე და პიეტრო

**მარუჩჩა.** პიეტრო! მოდი ჩემო პიეტრო! ჩემს ბედნიერებას მარტო შენ აკლდი! (გულზე ეკრდება; ხელებს უნთავისუფლებენ) პიეტრო, განმხნევდი, ნუ გეშინია! მე ბედნიერი ვარ ისე, როგორც თავის დღეში არა ვყოფილვარ! დედოფალს განსაცდელი ავაცდინე! ტყვეობისაგან ვიხსენ! ქართველთ დედა დავუბრუნე და სამშობლოს თავისუფლება! რაღას უცდი, მტარვალო? მიეც მალე ჯალათს ჩემი თავი და აამაღლე მაცხოვრის ჯვარი!..

**შაჰი.** ამას რას ვხედავ?! პიეტრო დე-ლა ვალლე!

**პიეტრო.** ეს არის ეხლა შევიტყე, რა უბედურობაც იყო ჩემს თავსა...

**შაჰი.** ნუ თუ ეგ თქვენი მეუღლეა!..

**პიეტრო.** ისმაილ ბეგს მოეწერა ჩემთვის პატარა ბარათი...

**შაჰი.** კიდევ ისმაილ ბეგ! ჴის არის! ის არის პირველი მოღალატე...

**პიეტრო.** დიდებულო შაჰო! ხედავ ჩემს მწუხარებას და თხოვნა მეტი არის. შენი სიბრძნე სხვის დახმარებას არ საჭიროებს; თვითონ მიხვედრილი ხარ, რომ, ბავშვი უბრალო მსხვერპლია...

**შაჰი.** მსხვერპლი! მსხვერპლი! ყველა მსხვერპლია! სადღაა დამნაშავე?! მაჩვენეთ, ხელში მომეცით!.. ისმაილ ბეგ! სად არის? ჰეი! აფრინეთ ყოველ მხრივ მდევრები! ცოცხალი, ცოცხალი მომგვარეთ აქ ისმაილ-ბეგ, რომ ჩემის ხელით ვაწამო და მოვკლა! (მანის) სხვა ვიღაა შეთქმულობაში! სხვებიც იქნებოდენ; თუ ერთი ნახე, სხვებსაც ნახავდი! სთქვი ნუ რას იმალები! (ღეჩაქს გლეჯს).

**პიეტრო.** (გაკვირვებული) მანი!..

**შაჰი.** ეს ვიღა ყოფილა?! პიეტრო დე-ლა ვალლე იცნობს ამ ქალსა?

**პიეტრო.** ჯერ მიბრძანეთ, დიდებულო შაჰო, რისთვის მოსულა ეგ აქ?

**შაჰი.** ამან დაასმინა...

**მარუჩჩა.** (უვირის) სტყუის! სტყუის! ცილს სწამებს! პიეტრო არ დაუჯერო! გევედრები. გაფიცებ მთელს წარსულ ჩვენს ტკბილს ცხოვრებას—არ დაუჯერო! ეგ მტარვალი მანის ცილს სწამებს! მაგან იცის როგორ მიყვარხარ, როგორ მინდა ბედნიერი დაგტოვო და უკანასკნელს წამებს მიწამლავს. მე გეტყვი პიეტრო ვინც დამაბეზღა და შენც გაიგონე, მტარვალო!

**შაჰი.** ეგ ვიცი; შენ ის სთქვი ვინ იყო მოთავე შეთქმულობისა; ისმაილ ბეგი?

**მარუჩჩა.** ისმაილ ბეგი? ჰო, ისმაილ ბეგიც იყო: მხოლოდ პირველი მოთავე სხვა იყო; გვარიც ვიცი ეხლა მისი, თუ გინდა გეტყვი დასწერე (შაჰი ანიშნებს ვეზირებს ისინი ემზადებიან წერას, კარებში გამოჩნდება ისმაილ ბეგი იმას ჯერ ვერავინ ხედავს) ის, ვინც ამ ჯვარს განუშორებლივ გულზედ ატარებდა, ვინც სტიროდა დაკარგულ ცოლშვილს და ვერ ეღირსა მათი ნახვას მამა ჩემი პირველი მოთავე ის იყო.

**ისმაილ ბეგ** (სცენისკენ) ეს რა გავიგონე! ჯვარო ძლიერო!

**მარუჩჩა** (განაგრძობს) მეორე მოთავე იყო ის მოძღვარი, წუხელის რომ თავი მოჰკვეთეთ—იმის სიკვდილმა გზა გამინათა; იყო კიდევ სხვა ათასი ჩემსავით გასასყიდათ ტყვედ მოყვანილნი! მათი დანახვამ გულს ცეცხლი მოსდო და მათქმევინა, რომ სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი! ისმაილ ბეგი? ისიც ერია. ამ დილაზე შუბლზე მეამბორა და გამახსენა რომ მეც მქონდა საკუთარი ჩემი სახელი; რომ თინათინ მერქვა—ისე როგორც მის ქალს რქმევია...

**ისმაილ ბეგ** (აღელვებული) თინათინ!..



ღამე თავდასხმა იაპონელებზე

**მარუჩჩა** (დაინახავს ისმაილ ბეგს გაკვირვებული) ისმაილბეგ!

**შაჰი.** აჰ! ისმაილ ბეგ! ვაი შენი ბრალი! დაგიჭირეს! ეხლა კი ვერსად წამიხვალ! რა უყავ დედოფალი! სთქვი ძაღლო, ჯალათი გელის!

**მარუჩა.** ოჰ! ისმაილ ბეგ! ამ წამს შენზე ვფიქრობდი, შენს ქალზე, რომელსაც ჩემსავით თინათინი რქმევია! ნუ მომიწამლავ მამაშვილურ გრძნობას. უთხარ მაგ უსჯულო, მაგ მტარვალს, რომ დედოფალს ველარ იხილავს!..

**ისმაილ ბეგ.** (აღელვებული) ჯვარო ძლიერო! შემინდე და შეიბრალე ჩემთან ერთად ქრისტიანე ხალხი, რომ მდევრებმა დედოფალი ველარა ნახონ. (შაჰის) ღმერთია დედოფლის მფარველი!

**მარუჩა** (გაიწევს ისმაილ ბეგისაკენ და ესეც ხელებს გამოაწვდის) ჰო! კეთილო ჩემო ისმაილ ბეგ! ჩემი გული ტყვილად არ გეკედლებოდა შენ!

**შაჰი.** ჯალათი! ჯალათი! ეხლავ წაიყვანეთ ეს ძაღლი: სამაგალითოდ აწამეთ და ისე მოჰკალით!

**ისმაილ ბეგ** (ჯალათებს მიჰყავთ). წამიყვანეთ; მხოლოდ იცოდე: არ მინდა სხვის ცოდო დასდო უბრალოდ კისერზე — ეს ქალი უბრალოა; სიკვდილის ღირსი მარტო მე ვარ!

**მარუჩა.** არა! თუ შენ ხარ ღირსი სიკვდილისა, ეგ ღირსება მეც მინდა მქონდეს! მეც მასთან მაწამეთ!

**პიეტრო** (აღელვებული). ისმაილ ბეგ, შენ იცი რომ ეს ქალი...

**ისმაილ ბეგ** (პირზე ხელს იფარებს). სუ! ყველაფერი ვიცი!.. ასე სჯობია. მოვკვდე... (აღელვებული შაჰის) მივდივარ სასიკვდილოდ ისე, რომ არავის გამოვთხოვებივარ... მომეცი ნება ჩემის შვილის თინათინის მაგივრად გულში ჩავიკრა აი ეს ქალი... (გულში იკრავს მარუჩას, რომელიც ტირილით მას ეხვევა)

**მარუჩა** (როდესაც ჯალათები გააშორებენ ისმაილ ბეგს). ჯალათო! ჯალათო! ათასი ჯალათი! სისხლი სწყურია მტარვალსა! ვერ დაანგრევს ჯალათი, რაც სიყვარულით აშენებულია! მიწავ-სამშობლო, იხარე, წამებულთა სისხლით მორწყულო! შენს სასახელოდ, შენს სასახელოდ, შენს სადიდებლად მიიღე ჩვენი სიცოცხლე!..

**ისმაილ ბეგ** (კარებიდან). შვილო!.. ჩემს სახსოვრად ატარე ეგ ჯვარი!.. (გადის).

**მარუჩა** (პატარა ხანს გაშტერებულია, მერე დაიწივლებს). მამა!.. (გულ-შეწუხებული პიეტროს ხელებში უვარდება)

**პიეტრო** (მოხვეული უჭირავს მარუჩა). დიდებულო შაჰო! თუ ამ სიცოცხლეს არ მაჩუქებ, მეც ამასთან მაინც მოვკვდე!

**შაჰი.** პიეტრო! ვიცი აწ ველარ დავიბრუნებ დაკარგულ ბედნიერებას... მიყვარდი... გაგიჟებული... და ამ სიყვარულისათვის შემინდე (დანას იკრავს და კვდება).

ფ ა რ დ ა

ბ—ლი.

# სხვა და სხვა ამბები

**როგორა სცხოვრობს ედისონი.** ამას წინად ერთი ჟურნალისტი გამოჩენილ ედისონთან ყოფილა. ედისონი უკვე მოხუცი კაცია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ძალიან მაგრა და ჯანსაღად არის თურმე. „მამა ჩემი, — უთქვამს ედისონს, — 84 წლისა იყო, ევროპაში სამგზავროდ რომ წავიდა. პაპა ჩემმა 103 წლამდე იცოცხლა, თუმცა ჩემსავით ძალზე სწევდა თამბაქოს. მე დღეში 10-დან 20-მდე მაგარ სიგარასა ვწევ და არავითარ ვნებას არ ვამჩნევ. ვნება რომ შევიტყო, იმდენ ძალას მოვიკრებ, რომ მაშინვე თავი გავანებო. იშვიათად მძინავს $6^1/_2$ საათზე მეტი. დილის საუზმედ მაქვს პური და კვერცხები, ჩაი ან ყავა. 9 საათზე ლაბორატორიაში ვიწყებ მუშაობას და ვმუშაობ საღამოს ექვს საათამდე. პალტოს არასოდეს არ ვატარებ. თუ ძალიან ცივა, ორხელ საცვალს ვიცვამ; მაგარ სასმელებს იშვიათად ვხმარობ“.



ტფილისის ტელეგრაფის სადგურზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 1 февраля 1904 г. Электропеч. Груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბა.